№ 56 მარტი 17, ოთხშაბათი · 1893 · მარტი 17, ოთხშაბათი № 56

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 · საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1893


## საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა. სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7. ღიაა 9—2 საათამდე.

(50—7) აგენტი დ. ქ. თუთაევი



## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.



## „ცრემლები“

ლექსები

დუტუ მეგრელისა

გამოცემა პეტრე პავლეს ძის გელეიშვილისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება: „ქართველთა ამხანაგობისა“ და „წერა-კითხვის გამავრც. საზ.-ს მაღაზიებში, აგრედვე ბათუმში, ოზურგეთში, ფოთში, სამტრედიაში, ახალ-სენაკში, ქუთაისში, ზესტაფონში, გორში, განჯაში, ბაქოში, და ყარსში. (3—1)


ტფილისი, 16 მარტი

სეტყვისაგან დაზღვევის საქმის გავრცელებას, როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ხელს უშლის ის გარემოება, რომ სხვა-და-სხვა წელიწადს სხვა-და-სხვა ადგილებში სხვა-და-სხვა ზარალი მოაქვს: ხან ჰღუპავს თითქმის მთელს სახელმწიფოს, ხან-კი წარბს არ შეუხრის ხოლმე მეურნეობას.

ცეცხლისაგან მომხდარი ზარალი-კი ადვილად სავარაუდებელია, მისგან მოსალოდნელი ზარალი ადვილად შესაძლოა კაცმა წინადვე გამოიანგარიშოს. სწორედ ასეთი განსხვავებაა მიზეზი, რომ სააქციონერო საზოგადოებანი ძლიელ ავრცელებენ ცეცხლისაგან დაზღვევის საქმეს, ხოლო სეტყვისაგან დაზღვევის საქმის გავრცელება, რამდენჯერაც მოიწადინეს, იმდენჯერვე ამ საქმეს დიდის ზარალის გამო საჩქაროდ თავი დაანებეს.

ძრიელ საგულის ხმო სურათს წარმოგვიდგენს ამ საქმის ვითარება დასავლეთ ევროპის ზოგიერთს სახელმწიფოებში. სამეურნეო მცენარეთა დაზღვევა უფრო გავრცელებულია გერმანიაში. [illegible] 1888 წელს დაზღვეული იყ[illegible] 8 % მთელის ნათესობისა; ავსტრიაში 27,2 % და საფრანგეთში-კი სულ 8,3 %, როდესაც თითოეულს ამ სახელმწიფოში თითქმის ერთი და იგივე სივრცე ეჭირა ნათესობას.

გერმანიაში ამ ჟამად ითვლება სულ 27 სეტყვისაგან დამზღვევი საზოგადოება. 1888 წელს თითოეულ ამ საზოგადოებათა შემოსავალი 21.824,000 მარკა ყოფილა; აქედამ დაზარალებულ მეურნეთათვის მიუციათ 17.329,000 მარკა. ამ 27 საზოგადოებათა შორის მარტო 5 საქციონერო საზოგადოებაა, დანარჩენი ოც-და-ორი საურთიერთო თავდებობის წესით არის დაარსებული. სამეურნეო მცენარეთა დაზღვევას გერმანიაში გზა გაუკვალა და მტკიცე საძირკველი დაუდო საურთიერთო თავდებობის წესმა და არა საკომერციო-საქციონერომა.

საურთიერთო თავდებობით დაზღვევის საქმე პირველად დაიწყო სოფლის საზოგადოებამ, მიიმხრო ნელ-ნელა მთელი მაზრისა და ოლქის მეურნენი, დაანახვა დიდი სარგებლობა სამეურნეო მცენარეთა დაზღვევის საქმისაგან და მით მისცა შეურყეველი საძირკველი ამ ახალს საქმეს მთელს გერმანიაში. როდესაც საქციონერო საზოგადოებანი დარწმუნდნენ, რომ მთელს გერმანიაში საკმაოდ არის გავრცელებული ჩვეულება სამეურნეო მცენარეთა დაზღვევისა, მაშინ თითონაც ჩაურიეს ხელი ამ საქმეში იმ ანგარიშით, რომ როდესაც სხვა-და-სხვა ოლქში მცხოვრები მრავალი მეურნე დააზღვევებს თავის მოსავალს, მაშინ ზარალი უფრო ძნელად მოსალოდნელიაო. 1832 წ., როცა ჯერ კიდევ საფიქრებელი იყო, გაიტანს თავს საკომერციო წესით შემოღებული დაზღვევა, თუ არა, გერმანიაში დაარსდა პირველი ამ გვარი საქციონერო საზოგადოება. დანარჩენი ოთხი ამ გვარი საზოგადოება კი დაარსდა 1854—56 წლებში.

ეს მოკლე ისტორია გერმანიის დამზღვევ საზოგადოებათა გვიმტკიცებს, რომ ვიდრე სოფლის მეურნეობის წარმომადგენელნი არ შეეჩვივნენ ამ საქმეს, პატარა საურთიერთო საზოგადოებათა მოღვაწეობის წყალობით, მანამდინ სამეურნეო მცენარეთა დაზღვევამ კომერციულის წესით ფეხი ვერ მოიკიდა.

რუსეთში წინა პირველად ამ საქმის დაწყება განიზრახეს 1872 წელს ორმა საქციონერო საზოგადოებამ, რომელთაც დიდი მუშტარი ჰყვანდათ ცეცხლისაგან დამზღვევისა; ეს დაწესებულებანი იყვნენ: „იაკორის“ საზოგადოება და „რუსეთის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება“. სეტყვისაგან დაზღვევამ ამ ორსავე საზოგადოებას დიდი ზარალი მოუტანა, როგორც წინად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მოხდა; ამის გამო სულ მალე ხელი აიღეს ამ მეურნეთათვის დიდად სასარგებლო საქმისაგან.

რუსეთშიაც არ მიაქციეს ყურადღება ასეთის საქმის წარმატებასა და საურთიერთო საზოგადოების დაარსებას. 1877 წელს მოსკოვში დაარსდა პირველი და ჯერ აქამომდე ერთად ერთი საურთიერთო საზოგადოება სამეურნეო მცენარეთა დასაზღვევად. ამ საზოგადოების წყალობით რუსეთის მკვიდრი ნელ-ნელა ეჩვევა სეტყვისაგან ნათესობის დაზღვევას. ამ ჟამად საზოგადოებას უკვე განზრახვა აქვს თავისი განყოფილება დაარსოს ამიერ კავკასიაშიაც. იმ წესდების ძალით, რომელიც სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ არის დამტკიცებული, საზოგადოებას საგნად აქვს სეტყვისაგან უზრუნველ-ჰყოს ყოველივე სამეურნეო მცენარე მთელს რუსეთის იმპერიაში. საზოგადოება საურთიერთო წესით არის დაფუძნებული და ამიტომ ყოველი დამზღვევი საზოგადოების წევრად ითვლება და ხმა აქვს საზოგადო კრებებში. საზოგადოებას სათადარიგო თანხა აქვს; ეს თანხა იზდება და მატულობს მით, რომ წევრთა შესატან ფულიდამ, რომელსაც იხდის თითოეული წევრი პირველშივე, 2 % გადიდება ხოლმე. ამავე თავნს ემატება რამდენიმე პროცენტი წლიურ მოგებისა და პრემიების დანარჩენისა. საწევრო ფული შეიძლება წვრილ-წვრილადაც შეიტანონ კაცებმა, და როდესაც სათადარიგო თავნი დანიშნულ რაოდენობამდე მიაღწევს, შეიძლება, უკანვე დაუბრუნდეთ წევრთ პრემიის ტარიფი შედგენილია ცალკ-ცალკე თითოეულის ადგილისათვის, სეტყვისაგან მოტანილ ზარალი მეტნაკლებობის მიხედვით. თუ შეტანილმა გადასახადმა ყოველივე ხარჯი დაჰფარა და ამას გარდა, დარჩა რამ ძირს, ეს მომეტებული მეორის წლის გარდასახადში ჩაეთვლება წევრთ, ხოლო უკეთუ დიდის ზარალის გამო საზოგადოების თანხამ დამზღვეველთ წევრთ ვერ დაუბრუნა თავიანთი ზარალი, მაშინ დამზღვეველ საზოგადოების გამგეობას ნება აქვს, შეკრიბოს წევრთაგან ცოტ-ცოტა ფული ამ ზარალის შესავსებად. დარღვევას ძალა აქვს ოქტომბრის 15-დე. მე-40 მუხლის ძალით საზოგადოებას შეუძლიან მიიღოს დასაზღვევად ბაღები და ვენახებიც; დამზღვევმა წევრმა ამ შემთხვევაში უნდა გადიხადოს სათადარიგო თავნის შესავსებლად 3 % დაზღვეულის მოსავლის ფა-

---

## ფელეტონი

### შურის ძიება

(გიუ-დე-მოპასანისა)

(ფრანგულით)

I

პაოლო საჰერინის ქვრივი და მისი ერთად-ერთი შვილი ერთს პატარა ქოხში სცხოვრობდნენ ბონიფაჩიოს განაპირას. ქალაქი მთელს ამობურთულს კალთაზეა გაშენებული, ზემოდგან ქვევით გაშლილს ზღვას დაჰყურებს; ქალაქ ქვემოდ, მეორეს მხრით, ჩაშვებულია კლდე, რომელიც თითქმის ირგვლივ ერტყმის ზღვას. ეს კლდე უზარმაზარს კედელს წააგავს და ქალაქს ნავთსაყუდრობას უწევს. ამ ნავთსაყუდარში თითქმის ქალაქის სახლებამდე, შემოდიან, წყლისაგან გამოჭმულ კლდებ შუა მიხვევ-მოხვევით იტალიისა და სარდინიის მეთევზეების ნავები, ხოლო ყოველს ორს კვირაში ერთხელ — დაძველებული ორთქმავალი გემი, რომელიც აიაჩიოსაკენ დადის.

თეთრს მთას ზედ წამოდგმულ სახლების გროვა უფრო ათეთრებს. ეს სახლები კაცს გარეულ ფრინველების ბუდეებს აგონებს, ისეა მიკოწიწებული პიტალო კლდეზე. სადარაჯოებსა ჰგვანან სწორედ ამ მიყრუებულ ადგილას, სადაც გემები და ნავები სრულიად უშიშარს ყოფაშია, ოღონდ-კი იქ მიასწრონ მისვლა. ქარი აქ ძვირად თუ ისვენებს; გამუდმებით ჰქრის და ჰღელავს ზღვას, ჰლალავს გატიტვლებულს ნაპირს, რომელიც დახრულია, ისე რომ ბალახით შემოსვასაც არ აცლის; შრიალით შევარდება ხოლმე ვიწროებში და აწიოკებს კლდის ნაპირებს. წინ წაწვდილს კლდის ცხვირებზედ ზოლივით გასდევს ტალღების ქაფი, და ისე მოსჩანს შორიდამ, თითქოს ვარსკვლავის მკრთალი შუქი გადაჰფენია ზღვის ნაპირსაო.

საჰერინის ქვრივის ქოხი ამ კლდეზე იყო მიკრული და მისი სამი ფანჯარა მოწყენით გადაჰყურებდა მოტიტვლებულს, მოხრიოკებულს არე-მარეს.

ქვრივი მარტოდ-მარტო სცხოვრობდა თავის ანტონითურთ. ერთი ძაღლიცა ჰყავდათ, სახელად „სემილანტე“. ეს პირუტყვი მეცხვარეების ძაღლების ჯიშისა იყო, დიდი და გამხდარი, გრძელი და სქელ ბეწვიანი. ანტონი, როცა სანადიროდ წავიდოდა, სიმილანტეც უეჭველად უნდა თან წაეყვანა.

ერთს საღამოს ანტონს ნიკოლა რავოლატისთან რაღაცაზედ ცოტა ოდენი ლაპარაკი მოუვიდა, დიდს ხანს არ გაუვლია და ფარულად მოკლულ იქმნა. ნიკოლამ იმ ღამესვე სარდინიაში ამოჰყო თავი.

როცა მგზავრებმა დედას თავის მოკლულის შვილის გვამი მოუსვენეს, ქვრივს არ უტირნია, მხოლოდ დიდს ხანს დაჰყურებდა ზედ გარინდებული. შემდეგ დამჭკნარი ხელები ცხედარს მოჰხვია და აღუთქვა შურის ძიება. ვინც ამ დროს ქოხში იყო, ყველანი დაითხოვა. ქოხის კარი ჩაიკეტა და მარტო დარჩა მიცვალებულთან. ძაღლიც იქ იყო და საზარლად ჰყმუოდა. საწყალი პირუტყვი მკვდრის ფეხთით წამოცუცქდა, კუდი ფეხებ შუა დაიტანა და თავის პატრონს ნაღვლიანად შეჰყურებდა. დედას შვილის გაციებულს გვამზე დაეხარა თავი, და ზედ თვალები დაეშტერებინა და ჩუმად, ხმის ამოუღებლივ, ცრემლებს აფრქვევდა და თანაც საცოდავის გვამს სინჯავდა; ახალგაზდა კაცი გულ-აღმა იყო დასვენებული ტანთ ეცვა სქელის დრაფის ტანისამოსი, რომელიც გულთან მტრის შეუბრალებელს მახვილს გაეჭრა. მისს სახეს რომ დასცქერებოდით, გეგონებოდათ, სძინავსო, მაგრამ სისხლი, რომელიც ალაგ-ალაგ სჩანდა, სულ სხვას ამბობდა: სისხლი ეცხო პერანგზე, ჟილეტკაზე, პიჯაკზე, პირისახეზე, ხელებზე; სისხლისავე წინწკლები ჰქონდა შემხმარ თმასა და შუბლზე.

მოხუცმა დედამ თავისს შვილს ლაპარაკი დაუწყო. ქალის ხმაზე ძაღლი გაჩუმდა.

— ნუ გეშინიან, ნუ, ჩემო შვილო,

სისა. ზირალის დასათვასებლად საზოგადოებას ჰყავს სპეციალისტები, და უკეთუ მათ დათვასებას მემამულე [illegible] დაეთანხმა, ამ საქმისათვის ორივემ ერთმანეთის თანხმობით მედიატორენი უნდა ამოარჩიონ და იმათ გადააწყვეტინონ, რაოდენი ყოფილა ზარალი.

არ. ფირალოვი.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი 15 ამ თთვისას რამდენსამე დღით გაემგზავრა ბორჯომსა და აბასთუმანს.

*** ფინანსთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ პირველ აპრილიდგან ქალალდის ფული უნდა მიიღონ დამოქნის გარდასახადად, მანეთი 60 კაპეიკად.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში ორ ქართველ კაცს: ი. ალნიაშვილსა და დ. ჯმუხაძეს დაუარსებიათ ახალი კანტორა, საქონლის გასაგზავნ-გამოსაგზავნი. კონტორა კისრულობს ტფილისიდგან სხვა-და-სხვა ქალაქებში ყოველ გვარ საქონლის გაგზავნას და აგრედვე სხვა ქალაქებიდგან ტფილისში გამოგზავნილ საქონლის მიღებას. კონტორა იმყოფება სიონის ქუჩაზედ, არწრუნისეულ ქარვასლაში.

*** გუშინ, ნაშუალამევს, ტფილისის გარშემო ისევ თოვლი დასდო. შიგ ქალაქში-კი წვიმა მოვიდა და ქუჩები აატალახა.

*** კარგა ხანია, რაც ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა, რომ იმ დუქნების პატრონებმა, სადაც ლორებსა ჰყიდიან, ეს ლორები წადუდგინონ ტფილისის საქიმიო ლაბორატორიას. ლაბორატორიამ ლორები უნდა გასინჯოს და დამლა დაასვას ისეთ ლორებს, რომლებშიაც ღორთველა (სტრიხნინი) არ აღმოჩნდება. ლაბორატორიაში დუქნების პატრონებმა წარადგინეს ლორები და აღმოჩნდა, რომ ბევრ მათგანში ღორთველა იყო. ამიტომ ამ დღეებში თვით პოლიცმეისტერი და პოლიციელნი დაივლიან დუქნებს და სადაც-კი დამლა დაუსმელი ლორები აღმოჩნდება, ამ ლორების გაყიდვის ნებას არ მისცემენ.

*** 15 მარტისათვის დანიშნული მორიგი კრება საბჭოსი არ შესდგა, რადგანაც არ დაესწრო კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა.

*** ორშაბათს, 15 მარტს, სისხლის სამართალში გაარჩიეს საქმე „არძაგანკის“ რედაქტორის ა. ა. იოანისიანისა და „ტარაზის“ რედაქტორის ტ. ი. ნაზარიანცისა. სასამართლომ გაამტყუნა ბ-ნი ნაზარიანი, რომ მან ცილი დასწამა ბ-ნ იოანისიანს, ერთის თთვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა და ამ განაჩენის გაზეთებში დასაბეჭდი ხარჯიც დააკისრა.

*** 14 მარტს მოხდა კრება ტფილისის სომხურ წიგნების გამომცემელ საზოგადოებისა. ეს საზოგადოება აგერ 12 წელიწადია, რაც არსებობს. მისი დამაარსებელი, ნატალია მირზოევისა ჯერ თვითონ აბეჭდინებდა ცალკე წიგნებად სხვა-და-სხვა თარგმანს; მერე 1880 წ. 31 იანვარს შეადგინა გამომცემელი ამხანაგობა და ნება-რთვაც მიიღო. ამ ნორჩ საზოგადოების მოღვაწეობა პირველ ხანებში, რასაკვირველია, ისეთი შესამჩნევი არ იყო. ათის წლის განმავლობაში მხოლოდ 22 წიგნი დაუბეჭდია, ზოგი ორიგინალი და უფრო-კი თარგმანი. ამისი მიზეზი სხვათაშორის ისიც იყო, რომ ავტორებს ვერ აკმაყოფილებდნენ ღირსეულად. მაგრამ 1890 წ. ამ საზოგადოებას ჩაერია რავდენიმე ახალი წევრი, და საზოგადოებას სიცოცხლე დაეტყო. ერთის წლის (1891 წ.) განმავლობაში 16 წიგნი გამოსცა, თითქმის იმდენი, რავდენიც 12 წელიწადს იყო გამოცემული.

ეხლა, როგორც ანგარიშიდგან სჩანს, ამ საზოგადოებას სულ 61 წიგნი გამოუცია; ამაზედ 35,055 მანათი დაუხარჯვია და მხოლოდ 13,802 მანათის წიგნები გაუყიდნია. ამ ჟამად საზოგადოებას წიგნების გამოსაცემად 4,680 გადაუდვია და სხვა-და-სხვა წვრილმან ხარჯისათვის 990 მან. საზოგადოებამ ამ კრებაზედ გარდასწყვიტა აგრედვე, რომ ავტორებს ჯეროვანი ჯილდო მიეცეთ: ნაბეჭდ თაბახზედ, თუ თარგმანია,—20—25 მანათი და თუ ორიგინალია—30—50 მანათი. ამ საზოგადოებას ამ ჟამად 351 წევრი ჰყავს.

*** 17 მარტს ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია საგანგებო კრება [illegible]მთა, რომელნიც ქალაქის გამგე[illegible]ს სამსახურში არიან. კრების საგანია — გამორკვევა იმ ღონის-ძიებათა, რომელნიც ქალაქის მიერ უნდა მიღებულ იქმნან ხოლერასთან საბრძოლველად.

*** სამშაბათს, 16 მარტს, ქალაქის გამგეობაში იჯარით გაიცა სამი ნაჭერი საქალაქო მიწისა შეშის საწყობად. ეს მიწები ეჭირათ თავად ხერხეულიძეს, ბბ-ნთ ისარლოვსა და მადათოვს, საეენი წელიწადში ხუთ შაურად. ვაჭრობით იჯარა ხსენებულთავე დარჩათ, ხოლო იჯარამ აიწია შვიდ შაურსა და ორ კაპეიკამდე. მიწებ[illegible]ცა სამის წლით.

*** დღეს 17 მარტს დილის 8 საათზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა. კრების საგანი: 1) სთხოვონ დიდს მთავარს ნიკოლოოზ მიხეილის ძეს, საზოგადოების უავგუსტოესს მფარველს, რათა მან ნება დართოს საზოგადოებას, რომ თავის წევრებს დაურიგოს ლითონის პატარა ნიშნები. 2) უგულითადესი მადლობა გადაუხადონ დაღესტნის უფროსს, ყურადღებისა და თანაგრძნობისათვის. 3) ანგარიში დაღესტნის ოლქისა. 4) წესდება მომავალ 1893 წ. მ-II-ე საერთა შორისო კონგრესისა ბერნეში. 5) წერილი ცხენების მომშენებელ საზოგადოებისა. 6) ანგარიში ტფილისის პირუტყვთა სამკურნალოსი. 7) ჯილდოთა განაწილება. 8) სასანიტარო ღონის ძიებანი. 9) გარდაწყვეტილება სარჩიელისა: გარეშე ხალხს ნება ჩვენ მივეცით კრებებზე დასწრებისა თუ არაო.

*** ჩვენ მოგვივიდა კავკავიდამ ბ-ნ ალ. პ. სარაჯიშვილისაგან 51 მან. 85 კაპ., შეკროვილი მის მიერ, ი. ი. კერესელიძის სახლობის სასარგებლოდ მათ შორის, ვინც პატივსა სცემენ განსვენებულის ღვაწლს ქართველთა საზოგადოების წინაშე. სია შემომწირველთა: ა. პ. სარაჯაშვილი—5 მან. ა. თ. სარაჯიშვილი 3 მან., ნ. ი. მაჭავარიანი—3 მან, №—1 მ. ახალოვი—1 მან., ასლანოვი—2 მან., ჯაფარიძე 85 კაპ., მ. ა. კალანდარიშვილილი 5 მან., ტ. ბ. კახიძე 3 მან., ნ. ი. ბალანჩივაძე 2 მან., თ. სიდომონ ერისთავი 5 მან. კნ. მ. და თ. ა. ჭავჭავაძენი 10 მ. ს. ს. გულიკოვსკისა 3 მან. №—2 მ. ტერ-არუთინოვი 1 მან., ივანე თათუზოვი 2 მან. და ივანე ჩიტაევი 3 მან. სულ 51 მან. 85 კაპ.

*** დარუბანდი, 10 მარტს: აქაურმა პოლიცმეისტერმა, ბ-ნმა ჩიკუნოვმა მოიწვია სასანიტარო კომისია იმის გამოსარჩევად, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ხოლერას, რა ღონის-ძიება უნდა იხმარონ, რომ სენმა ის უბედურება და ზიანი არ შეამთხვიოს ქალაქს, როგორიც შარშან ზაფხულს დაატყდა თავს. ბ-ნმა ჩიკუნოვმა დაწვრილებით აუხსნა თათრების წარმომადგენლებს, რომ ერთად ერთი საშუალება ხოლერასთან საბრძოლველად სისუფთავეა და, მაშასადამე, ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ ქალაქის გასასუფთავებლადაო. თათრები, როგორც საზოგადოდ შენიშნულია, ძალიან ბინძურად ცხოვრობენ: ეზო და ქუჩა უწმინდურობითა აქვთ სავსე, მაგრამ იმათ გაწმენდა-გასუფთავებაზე არა ფიქრობენ, პოლიცმეისტერმა თათრებს აუხსნა, რომ სისუფთავე საჭიროა არა მარტო ხოლერის მოახლოვების გამო, არამედ თვით თქვენის სარწმუნოების მოთხოვნილების ძალითაცაო. როგორც ეტყობა, თათრები მაინც-და-მაინც მონდომებული არ არიან ხოლერას ებრძოლონ, თუმცა-კი პოლიცმეისტერს სიტყვა მისცეს, დაუცხრომლად ვიშრომებთო. მაგრამ, ვგონებ, წელს დარუბანდს უფრო დიდი განსაცდელი მოელის, ვიდრე შარშან ქ. ბაქოს.

*** სოს. ღაშე (შორაპნის მაზრა): რკინის გზამ, ცოტა არ იყოს, ზარალი მოგვცა და შეგვირყია ეკკლესია, რომელიც სდგას გორაზე. რკინის გზის ლიანდაგი გორის ძირში მიდის და ამიტომ ეკკლესია დიდ ხანს ვეღარ გასძლებს. ურიგო არ იქნება, რომ რკინის გზის მმართველობამ შემწეობა მისცეს სოფელს ეკკლესიის სხვა ალაგას აგებისათვის.

მარტში აქეთაც თოვლი მოვიდა და საქონლის საკვები ძალიან გაძვირდა. ვისაც საკვები ბლომად ჰქონდა, კარგა ბლომად აიღო ფული მის გასყიდვით. ხველა, ქვალი და სხვა ავადმყოფობა აქედ იშვიათი არ არის.

*** სოფ. ყანდაური (სიღნაღის მაზრა): დაგვეღუპა დიდ-ძალი პური სოფლის მაღაზიისა. გვქონდა 1,600 კოდამდე და დღეს თითქმის აღარა გვაქვს-რა. აღარა გვაქვს იმიტომ რომ უდროვო დროს გავყიდეთ, კოდი ცხრა აბაზად და ახლა-კი ექვს მანათადაც ვეღარა ვყიდულობთ. ამანა და სხვა ამისთანა გარემოებამ ჩვენის უპატიოსნობისა და დაუდევრობისამ სულ გაგვაწყალა და მოსვენება აღარა გვაქვს ხელმოკლეობისაგან დ თანათასის გადასახადისაგან. ყოველ დღე გვესმის, „გამოიტანე, გამოიტანეო“! ეს ფოსტის ფულიო, ეს ტყისა დ ყარაულისაო, ეს დანაკარგებისაო, ეს მართებულობისაო. ერთის სიტყვით, ყუაზე გავედით, ლამის სულამდე ხელი ჩამოგვატანოს ათასმა უბედურებამ და სულისა და ხორცის მეტი აღარა შეგვარჩინოს-რა.

*** როგორც „Нов. Обозр.“-ს შეუტყვია, ბათუმში, ქალაქის ხმოსანთა ამორჩევა ამ წლის დამლევამდე არ მოხდება. ამისი მიზეზი ისა ყოფილა, რომ ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ბათუმი დიდ ქალაქად ჩაითვალოს თუ პატარად. ეს კიდევ იმისათვის არის საჭირო, რომ თუ ბათუმი დიდ სამაზრო ქალაქად ჩაითვლება, მაშინ მის გამგეობის ხმოსნების წლიური შემოსავალი არა ნაკლებ 1,000 მანათისა უნდა იყოს, თუ კიდევ მცირე სამაზრო ქალაქად ჩაითვლება, მაშინ ხმოსნების წლიური შემოსავალი რომ 300 მანათიც იყოს, ისიც საკმარისია. ამ საგნის გარკვევამდე ბათუმის საბჭოს ხმოსანთა ამორჩევა ვერ მოხერხდება და იქნება ამ წლის დამლევამდე დარჩეს.

## უცნაური საქციელი ქალაქის გამგეობისა.

როდესაც ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი არწრუნისეულის ქარვასლის და თეატრის გადაკეთებას შეუდგა, ამასთანავე განიზრახა ელექტრონით განათება თეატრისა და აგრეთვე მთელის შენობისა. ამ განზრახვას, უეჭველია, საფუძვლად ის მოსაზრება ჰქონდა, რომ ელექტრონის განათებით უკეთესი სინათლე და მეტი შნო-ლაზათი მიეცა მთელ შენობისათვის, და უმთავრესად კიდევ უფრო ის აზრი ჰქონდა, რომ ცეცხლისაგან უშიშარ-ეყო შენობა და მეტადრე ასეთი სახიფათო და საპასუხისგებო შენობა, როგორც თეატრია, სადაც ათასობით ხალხი თავს იყრის და სადაც ცეცხლის გაჩენა საშინელ უბედურებას დაატრიალებს

---

შენს მკვლელს მაგიერს მე გადავუხდი, ჩემო ძვირფასო, ჩემო ნუგეშო! დაიძინე, დაიძინე, შურს მე ვიძიებ, გენაცვა, ხომ გეყურება? დედა გპირდება, დედა! ხომ იცი, დედამ კარგად იცის ასრულება აღთქმისა.

და აი დედა ნელ-ნელა გვამზე დაეშვა და თავისი გაფიცხებული ტუჩები მკვდრის ცივს ტუჩებს დააწება.

ძაღლს გააურჟოლა და მოჰყვა წკმუტუნს, წკმუტუნს, გულის გამგმირავს, საზარელს.

ორნივენი—დედაცა და ძაღლიც დილამდე ამ ყუფაში იყვნენ. ანტონი მეორე დღეს დამარხეს და ცოტას ხანს შემდეგ ყველას დაავიწყდა იმისი ამბავი.

II

ანტონს არც ძმა დარჩა და არც ახლო ნათესავები; არავინა ჰყვანდა ისეთი, რომ შური ეძია. მარტო დედა ჰფიქრობდა ამას, დედა, მოხუცებული, დაუძლურებული.

ხევ-გაღმა, კლდეზე, დილიდგან საღამომდე თეთრი წერტილი მოსჩანდა. ეს სარდინიის პატარა სოფელი იყო, ლონგოსადრო, სადაც თავშესაფარს ჰპოულობდნენ კორსიკნელი ფირალები. აქ მხოლოდ ესენი სცხოვრობდნენ, თავის სამშობლოს პირდაპირ, და მარჯვე დროს ელოდებოდნენ, რომ ხელახლად გაღმა გასულიყვნენ და ძარცვა-გლეჯა დაეწყოთ. ანტონის დედამ კარგად იცოდა, რომ მისის შვილის მკვლელი აქ უნდა ყოფილიყო.

მარტოდ-მარტო, მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა და გაჰყურებდა ამ სოფელს და შურისძიებაზედ-და ჰფიქრობდა. უძლურს, სიკვდილის პირას მიღწეულს სხვის დაუხმარებლად, როგორ შეეძლო ეს გულის ნადები აესრულებინა! მართალია, ძნელი იყო, მაგრამ, არა, პირობა მისცა, გაციებულს გვამს შეჰფიცა. დედას შვილის დავიწყება არ შეეძლო, არც მოცდა უნდოდა. რა უნდა ექმნა? ღამე ძილი არა ჰქონდა, არც მოსვენება, არც ნუგეში, შვილის მკვლელს გაჯიუტებით დაეძებდა. ძაღლი მის ფეხთით იწვა და სთვლემდა, ხანდისხან თავს მაღლა აიღებდა და მოჰყვებოდა ყმუილს. რაც პატრონი მოუკვდა, ყმუილი არ შეუწყვეტია. თითქოს ეძახისო, თითქოს მისს პირუტყვულს სულს, უნუგეშოს, სულ თავის პატრონი ახსოვდა და დავიწყება არ შეეძლოვო.

ერთს ღამეს, როცა სემილანტი წინანდებურად ყმუოდა, დედას თავში ერთბაშად შემდეგმა აზრმა გაუელვა, აზრმა შურისძიებისამ, აზრმა საშინელმა. გათენებამდე სულ ამ აზრით იყო შეპყრობილი. განთიადისას ეკკლესიაში წავიდა, მის კარებთან ქვე დაემხო დ ლოცვას მოჰყვა. ევედრებოდა ღმერთს, სთხოვდა შეელას, დახმარებას, რომ იმდენი ღონე კიდევ მიეცა, შვილის მაგიერი გადაეხადნა.

შემდეგ სახლში დაბრუნდა. ეზოში ერთი ძირ-გავარდნილი ბოჩკა იდგა; მივიდა, გადმოაპირქვავა, ზედ ქვები და კუნძები დააწყო; ძაღლი იმაზე მიაბა და თვითონ-კი გამობრუნდა.

ახლა თავის ოთახში ბოლთის ცემა დაუწყო და თვალები სულ სარდინიის მხარესკენ ეჭირა. იქ იყო კაცის-მკვლელი.

ძაღლი მთელს დღესა და ღამეს ყმუოდა. მოხუცმა მეორე დილას თაბახზე წყალი დაასხა და ძაღლს მიუტანა; მხოლოდ წყალი, არც წვენი, არც პური.

კიდევ ერთმა დღემ განვლო. სემილანტეს, ღონე მიხდილს, ეძინა. მესამე დღეს საშინელი სახე მიიღო, თვალები უელვარებდა, ბანალი აბურძგნოდა, და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თოკის დაგლეჯას ცდილობდა.

ბებერმა არც ახლა აჭამა-რა. პირუტყვი გაშმაგდა, ხრინწიანის ხმით ყმუოდა. ღამემაც გაიარა.

გათენდა თუ არა, სავერინის ქვრივი მეზობლისას წავიდა და ორი კონა ჩალა სთხოვა. აიღო თავის ქმრის ნაცვამი, დაკონკილი ტანისამოსი და ამ ჩალით აავსო, რომ კაცის სახე მიეცა.

ძაღლის ბინის წინ მიწაზე სარი დაარჭო და ეს ბერიკა ზედ მიაკრა. თავზე ძველი ჩაჩი ჩამოაფხატა.

ხოლმე. ბანკის გამგეობის ასეთი განზრახვა და თვით განზრახვის სისრულეში მოყვანა დიდად მოსაწონი იყო და ხელ-შესაწყობიც ყველასაგან. აგერ ბანკმა კიდეც შეიძინა საჭირო მაშინები, გაანათა თეატრი, ქარვასლის ეზო და სასახლის ქუჩა და მთელი წარმოება ამ საქმისა გარდასცა მოიჯარადრეს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ განათება მხოლოდ ამ ვიწროდ შემოქარგულ მოედნისა ვერ დაჰფარავს იმ ხარჯს, რაც ელექტრონის წარმოების საქმეს უნდა. და, აი მოიჯარადრემ, ბანკის დახმარებით, იმეცადინა და ელექტრონით განათება გააბედვინა იმ მაღაზიის პატრონებს, რომელნიც სასახლის ქუჩაზე, ბანკის შენობაშივე, აღებ-მიცემობენ. ამათი მიხედვით, ელექტრონით განათების შემოღება განიზრახეს იმავე სასახლის ქუჩაზედვე, სარაჯოვის სახლში მყოფთ მაღაზიის პატრონებმა. ამათ მოჰყვნენ მდგმურები ლალაევის, მირზოევის და თამამშევის სახლებისა, რომელნიც სასახლის ქუჩის გაყოლებაზე და ერევნის მოედანზე იმყოფებიან.

ხოლო რადგან ბანკს ნება ჰქონდა დართული ელექტრონით გაენათებინა მხოლოდ თავის საკუთარი შენობა, ამის გამო ელექტრონის მავთულების გასატარებლად ამ შენობის გარედ უნდა ახალი ნება-რთვა აელო მთავრობისაგან. ასეც მოიქცა ბანკი და გუბერნიის სამმართველოსაგან კიდეც გამოიტანა, კანონიერად დამტკიცებული გეგმა, სადაც დაწვრილებით არის განსაზღვრული, თუ რომელ ადგილამდე შეიძლება ელექტრონის მავთულების გაყვანა, სახელდობრ დასახელებულია საზღვრებად მთელი სასახლის ქუჩა, მერე ერევნის მოედანი ამ ქუჩის გაყოლებაზე, ვიდრე სოლოლაკის ქუჩამდე, და ფრეილინის ქუჩა. ელექტრონის იჯარადარიც დარწმუნებული, რომ ეს გეგმა სრულიად საკმარისია და ხელახლად ნება-რთვის აღება ვისგანმე საჭირო არ არისო, აუღია და, მსურველების თხოვნით, მავთულები ელექტრონით გასანათებლად, გაუყვანია მირზოევის სახლში, სადაც სასტუმრო „კავკაზია“, და თამამშოვის ქარვასლაში. ეს ამბავი ჩუმად, მალულად, სიბნელეში არ მომხდარა, რადგან თვით ელექტრონის სინათლე ძლიერ ნათლად ანახვებდა ყველას თავის თავს. მთელი ქალაქი ჰხედავდა ამას, და დაუნახავი არ დაჰრჩებოდათ, რასაკვირველია, არც ქალაქის მმართველებს. ნახევარ წელიწადზე მეტმა გაიარა, რაც ამ ადგილებს ელექტრონი ანათებდა, და ხმა არავის ამოუღია, თუ საიდამ გაჩნდა ეს სინათლე აქ და როგორ მოხდა ეს ამბავი. ან-კი ვის რა ეთქმოდა. მადლობა ღმერთს, რომ გაჩნდა: ქუჩებში სიბნელეს მიჩვეულმა ქალაქელებმა ძლივს ამ ორ-სამ ადგილას მაინც კარგი სინათლე დაინახეს, სახლებს, მაღაზიებს, ქუჩას შნო და ლაზათი მიეცა; ცეცხლისაგანაც ეს ადგილები, სხვა ადგილებთან შედარებით, უფრო უშიშარი შეიქმნენ. ქალაქის მცხოვრებთ თუ მმართველთ იმათი მადლობის მეტი რა ეთქმოდათ-რა, ვინც ამ ელექტრონით განათება მოახერხა. ასე იტყვიან, ვგონებ, ქალაქის მცხოვრებნი, ხოლო მმართველნი-კი სულ სხვას ფიქრობენ. თითქოს ნახევარ წლის შემდეგ ძლივს გამოუღვიძნიათ და თვალები გაუხელიათო, ქალაქის მმართველებს მიუმართავთ ბანკისთვის და უკითხავთ,—ვინ მოგცათ ნება, რომ მავთულები გაგიბამთ ქუჩაშიო და, ბჟუნტავ ფარნების მაგიერ, ელექტრონის ლამპრებით ანათებთ მირზოევისა და თამამშევის სახლებსაო.

ბანკმა პასუხად ამისა უამბო საქმის გარემოება ისე, როგორც ზემოდ არის ნათქვამი, და გულწრფელად აღიარა, რომ საქმეში არავის ჰქონია ქალაქის მმართველობის უფლების დარღვევა და, თუ თქვენ ნება-დაურთველად მოხდა ეს ამბავი, მოხდა, როგორც ჰხედავთ საქმის გარემოებიდგან, უნებლიედ, იჯარადრის შეცდომით, რასაც ბანკი თვით კისრულობს და თქვენ წინაშე ბოდიშს იხდისო; ხოლო ამასთანავე გთხოვთ, ხელი არ შეგვიშალოთ და ნება დაგვრთოთ, ელექტრონის მავთულები იმას იქიდაც გავაბათ, სადამდისინაც დღეს არის მიყვანილი, რომ ამ გზათ ქალაქს უფრო მეტი და უკეთესი ნათელი მოვფინოთ; ჩვენი სურვილი ის არის, ამ საქმემ ფეხი მოიდგას ჩვენ დედა ქალაქში, და თქვენც, ეჭვი არა გვაქვს, თანაუგრძნობთ ამ ჩვენს აზრს, რადგან, მაინც და მაინც თუ სიკეთეს არა, ვნებას ხომ არას მოუტანს ქალაქს ელექტრონით ქუჩების და სახლების განათებითა. ამასთანავე პირობასა ვდებთ, რომ თუ ვინიცობაა თვითონ ქალაქმა მოიწადინა ელექტრონით განათების შემოღება, ბანკი დაუყოვნებლივ და პირველ მოთხოვნილებისთანავე გააუქმებს ელექტრონის მავთულებს.

კარგიო,—მისწერეს ქალაქის მმართველებმა ამაზედ;—დარჩეს ეგ საქმე, როგორც არის დღეს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ქალაქსაც მოგებაში წილი ედოსო.

დიდის სიამოვნებით გავლადებთო,—გულახდილად უთხრა ბანკმა, მაგრამ დღევანდელი ყოფა ელექტრონის განათებისა ისეთია, რომ არამც თუ მოგებას არ იძლევა, ხარჯსაც ვერ უძლევს იმის შემოსავალი, და თვით ბანკი იძულებულია რაიმე შეღავათი და შემწეობა აღმოუჩინოს მოიჯარადრეს, რომ საქმე სრულიად არ ჩაიშალოსო. როგორც ჰხედავთ, ბანკი ამ საქმეში სრულიად უანგაროდ მოქმედობსო.

ამაზედ ბანკს მოსდის შემდეგი ქაღალდი: ამა და ამ დღემდე გაძლევთ ვადას და ამ დღისთვის-კი უსათუოდ უნდა აალაგოთ თქვენი მავთულები თამამშევის და მირზოევის სახლებიდამ, სარაჯიშვილისა და ლალაევის სახლში-კი ჯერ-ჯერობით ნება მოგვიცია დროებით იქონიოთო.

ეს პასუხი-კი, სწორედ გითხრათ, გვაგონებს კრილოვის მგლისა და ბატკნის იგავ-არაკს. არა, იმ მგლისა არ იყოს, ვინ ატანდა ქალაქს გამგეობას ძალას, რომ ჯერ ლათაიები მოაყოლეს, თუ როგორ და ვინ მოგცათ ნებაო, მერე ვაჭრობა დაიწყოს, აცა, იქნება გამოდნეს რამეო, და ბოლოს, რა დაინახეს, რომ აქედამ ხეირი არა გამოვა რაო, აღარც აიღეს, აღარც დაიღეს და ისე მოიქცნენ სწორედ, როგორც მგელი იგავ-არაკში: — იქნება მართალსაც ლაპარაკობდეთ, მაგრამ არ გვსურს, არ გაძლევთ ნებასაო.

ჩვენ ვგონებთ, რომ ამით უნდა დაეწყოთ ლაპარაკი და ამითვე გაეთავებინათ კიდეც. პასუხი მოკლეც ითქმებოდა და არც აზრს მოკლებული. თორემ ეხლა, როგორღაც უკუდო და ასკინკილა გამოდის ეს პასუხი. საღი მსჯელობა და ლოღიკა გვეუბნება, რომ აქ ორში ერთი უნდა ყოფილიყო: ან უნდა პირდაპირ ეთქვა,—ნება დაურთველად გაგიკეთებიათ საქმე, კანონი დაგირღვევიათ და გთხოვთ, ეხლავე აალაგოთ თქვენი ბარგი ბარხანა და თქვენთვის მიბრძანდეთო,—ან არა და ვაჭრობა აღარ უნდა დაეწყოთ პირველ შემთხვევაში, რაკი ბანკი დანაშაულს აღიარებდა, ხმა აღარ ამოეღებოდა და უნდა დაჰმორჩილებოდა; ხოლო რაკი მეორე გარემოებაც დაერთო საქმეს, ბანკს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: როგორც სჩანს აქ კანონის დარღვევა, სხვის უფლების შელახვა—დიდი მიუტევებელი ცოდვა არ ყოფილა, რადგან თქვენგან მოთხოვნილ წილის დადებას მოგებაში სხვა აზრი არა აქვს, გარდა იმისა, რომ ამ საქმეში თუ აბრუნდი ითქმის, ჩაბრუნდიც შესაძლებელი ყოფილა.

თუნდ ეგეც არ იყოს, ერთი გვითხარით, რა ჭკუაში მოსასვლელია ქალაქის გამგეობამ დაუშალოს ვისმე ისეთი საქმე, რომელიც ქალაქს არამც თუ აკლებს რასმე, ანუ ავნებს, პირ-იქით, შნოსა და ლაზათსა სდებს და ქალაქის მკვიდრსაც ღონისძიებას აძლევს უკეთესად მოაწყონ თავისი ყოფა-ცხოვრება. მერე მაშინ, როცა პირობას უდებენ, რომ თუ ვინიცობაა, შენ თითონ შემოიღე ამისთანა საქმე, ჩვენ ჩვენსას გავაუქმებთო.

საკვირველი არ არის, რომ ქალაქის გამგეობა ეურჩებოდეს ქალაქისავე მკვიდრისათვის სასიკეთო საქმეს.

მაშ რას მოასწავებს ყველა ეს ამბავი? ეტყობათ „умыселъ тутъ другой былъ“. რა „умыселъ“-ი ჰქონიათ ქალაქის გამგებლებს, ამას გაარჩევს საბჭო, რომელსაც ამ დღეებში საჩივრით მიჰმართა ბანკმა განსახილველად და ამ „умыселъ“-ის გამოსარკვევად.

ლ—ლი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. სადემეტრაო** (ქუთაისის მაზრა): დიდ გაჭირვებაში ვართ ჩვენცა და აჯამეთის ტყის გარეშემო მდებარე სოფლებიც. ამ ტყის პატრონს მცველებად და საძოვარ ადგილების იჯარადრებად სხვა მხრის ხალხი მოუყვანიათ; ხოლო ამათ შორის ბევრს სხვის შრომით მონაგარი ძალიან ჰყვარებია. საქონელი ველარ შეგვინახია ამათის შიშით. ისე ოსტატურად იქცევიან, რომ ძალიან ფრთხილი კაცაც ვერ ასცდება ამათ ავ-კაცობას. საცა თვითონ მოასწრობენ სხვის საქონელს, მეტადრე ცხენს, ისე გააქრობენ, თითქო დედამიწამ ჩაყლაპაო; საცა არა და, იქაც ამ ხერხსა ხმარობენ: შეაგულიანებენ თითო-ოროლა სოფლელს, ამადა-ამ დროს ესა და ეს ცხენი ამადა-ამ ალაგს მოიყვანე და ჯილდოს მიიღებო. ჩვენს მეზობლებსაც მიჰყავთ საქონელი უდაბურ ტყეში, დანიშნულ ადგილას მიაბამენ, მივა ტყის მცველი და დაეპატრონება. როცა ნამდვილი პატრონი თავ-გადაგლეჯილ ძებნით მოიღალება და პოვნის იმედს დაჰკარგავს, მაშინ ტყის მცველები სხვა მხრიდამ გააპარებენ და შორს სადმე გაანაღდებენ. ასეთი მწარე დღე ადგიათ, ჩვენ გარდა, სოფლებს: დიდველას, როკითსა, დიმს, ვარციხეს და სხვ. ხალხი მეტად გაბრაზებულია და, თუ ერთი მოასწრო ვისმე ან ეჭვი აიღო, ცუდს ამბავს უნდა მოველოდეთ. ისიცა გვგონია, რომ აღელვებული ხალხი მართალსა და მტყუანს ვეღარ გაარჩევს და მცირე მიზეზისა გამო დიდი ალიაქოთი მოხდება. ამის აცილება შეუძლიან მხოლოდ მამულის პატრონს მით, რომ ეხლანდელი ტყის მცველები დაითხოვოს და აქაური მცხოვრები დააყენოს. ისიც შეიძლება, რომ ტყე ერთს რომელსამე სოფელს ჩააბაროს და ყოველივე წანახედი მთელსავე სოფელს მოჰკითხოს. მისთვისაც უფრო კარგი იქმნება და სოფლებიც მოისვენებენ.

გზები ჩვენში ძალიან გაფუჭებულია, ხიდები და ბოგირები სულ ჩანტვრეულია, შეიძლება უბედურება რამ მოხდეს, თუ მალე პატრონი არ გამოუჩნდა. ამათი გაკეთება სულ უბრალო საქმეა, ხოლო მოთავე არავინ არის და გვგონია, რომ აქ მაზრის სამმართველოს დახმარებაა საჭირო.

---

**დაბა-ხონი.** ბევრი საინტერესო ამბებია ამ ჟამად ხონში, მაგრამ დღეს ყველა დაჩრდილა და სულ ყველას თვალი და ყური მიიპყრო აქაურ სასტატო სემინარიის დირექტორსა და შეგირდებს შორის ჩავარდნილმა უთანხმოებამ. 7 მარტს, საღამოს 9 საათზე შეგირდებმა დასტოვეს უცებ სასწავლებელი და გავიდნენ მინდვრად. შეგირდების თქმით, ჩვენის ასეთის საქციელის მიზეზი ის არის, შეწუხებულნი ვართ სემინარიაში მით რომ სასტიკად გვეპყრობა სასწავლებლის მთავრობაო, ტანთ არ გვაცვია რიგიანად, საჭმელი არ გვაქვს და სასმელი რიგიანიო. მინდვრად დაანთეს ცეცხლი და შეგირდები იქ დაბანაკდნენ.

ეს ამბავი რასაკვირველია, აცნობეს დაუყოვნებლივ ადგილობრივ ბოქაულს, რომელმაც ურჩია შეგირდებს დაბრუნებულიყვნენ სასწავლებელში; მაგრამ შეგირდებმა არა

---

ძაღლი გაოცებული უყურებდა ამ ჩალის კაცს, და, თუმცა სიმშილი ძალზე აწუხებდა, მაინც დაჩუმდა.

ამ საქმეს რომ მორჩა, მოხუცი ყასაბთან მივიდა და ერთი გრძელი და შავი ძეხვი იყიდა. სახლში დაბრუნდა ეზოში, ძაღლის ბინის ახლო, ცეცხლი გააჩაღა და ნაყიდს ძეხვს წვა დაუწყო. ძაღლი სიმშილისაგან ფერდებ ჩავარდნილი, იკლაკნებოდა, წკმუტუნებდა, თვალები ძეხვზედ რჩებოდა და მისის სუნით იბნიდებოდა.

ძეხვს ოხშივარი ასდიოდა. დედაკაცმა აიღო და ჩალის კაცს კისერზე შემოახვია. კარგა ხანს მოუნდა მისს ჩამოკიდებას, თითქო შიგ კისერში უნდა ჩაუდოსო. გაათავა ეს საქმე და ძაღლი აუშვა.

ამანაც სწრაფად ისკუპა, პირი ბერიკას კისერში ჩაავლო და ტოტები მხრებზე შეაწყო. ხორცს ცოტას მოჰგლიჯავდა თუ არა, უკანვე გადავარდებოდა, შემდეგ ხელახლა შეახტებოდა და თოკს თავისას ბასრის კბილებით ჰღრღნიდა; ცდილობდა ცოტაოდენი ძეხვი მაინც მოეგლიჯა, ისევ უკან ეცემოდა, და, გაშმაგებული, ისევ მივარდებოდა ყმუილით.

მოხუცი, თვალებ ანთებული, გაუნძრევლად და ხმა ამოუღებლივ შეჰყურებდა ამ ამბავს; ცოტას ხანს უკან ძაღლი ისევ დააბა, ორი დღე კიდევ არა აჭამა-რა, და ისევ ამ გვარად წრთვნა დაუწყო.

სამის თვის განმავლობაში ძაღლი ასეთ ბრძოლასა და ასეთს გაჭირვებას შეაჩვია. ახლა აღარ აბამდა, მხოლოდ ეტყოდა; „აბა, სემილანტი, შეახტი ამ კაცს!“

ქალმა ძაღლს ამ ჩალის კაცის დაგლეჯა, დაფლეთა ზედ მიწევნით ასწავლა. ძაღლი კაცს მაშინაც მივარდებოდა ხოლმე, როცა მის კისერში არავითარი საჭმელი არ იყო დამალული. ვარჯიშობით რო მოჰგლიდა, საჩუქრად შემწვარს ძეხვს მისცემდა ხოლმე.

რამწამს კაცს დაინახავდა, სამილანტს გააჯრჯოლებდა, შემდეგ თვალებს თავისს პატრონს მიაჩერებდა და ესეც თითით ანიშნებდა და შტვენით ეტყოდა—აბა!..

III

როცა მოხუცი დარწმუნდა, ჰო, ახლა კი დრო არის ჩემის გულის წადილი ავისრულოვო, ერთს კვირა დილას მღვდელთან მივიდა, აღსარება უთხრა და დიდის სასოებით ეზიარა. შემდეგ მათხოვრის ძონძები ჩაიცვა, ერთს სარდინიელს მეთევზეს გაჰყვა, ძაღლიც თან გაიყოლა და გაღმა გავიდა, სადაც შვილის მკვლელი ეგულებოდა.

თან დედაკაცს ძეხვის დიდი ნაჭერი ჰქონდა. სემილანტს ორის დღის განმავლობაში არა ეჭამა-რა. მოხუცი წამდაუწუმ ძაღლს ცხვირთან მიუტანდა ძეხვს და მადას უღვიძებდა.

ორივე მგზავრი ლონგოსადროში მივიდნენ. ხალხი ბუზივით ირეოდა. დედაკაცი ერთს მეპურესთან მივიდა და ნიკოლა რავოლატის ბინა ჰკითხა. ნიკოლა მარტოდ-მარტო იჯდა თავის სახელოსნოში და მუშაობდა.

მოხუცმა კარი შეაღო და დაუძახა:—ეი! ნიკოლა!

ნიკოლამ შემოჰხედა; დედაკაცმა ძაღლს თავისებურად ანიშნა:

— ჰა, ეცი, ეცი, დაჰგლიჯე!

დარეტიანებულმა პირუტყვმა ისკუპა და ყელში სწვდა ნიკოლას. კაცმა ხელები გაიქნია, უნდოდა ძაღლი მოეშორებინა. მაგრამ ძირს ტყაპანი მოსძვრა. რამდენსამე წუთში გრეხვას მოჰყვა და სიმწარით ფეხის ფართხალი დაიწყო. ბოლოს, გაშეშდა კიდეც, სემილანტი-კი ყელს უღადრავდა და ნაფლეთ-ნაფლეთ ხორცსა ჰყლაპავდა.

რამდენსამე ხნის შემდეგ, ორს მეზობელს, რომელნიც დუქნის კარებთან ისხდნენ, აგონდებოდათ, რომ დუქნიდგან ერთი მოხუცი მათხოვარა დედაკაცი გამოვიდა, თან გამხდარი ძაღლიც მისდევდა და რაღაც შავს საჭმელსა სჭამდა, რომელსაც თავის პატრონი აძლევდა.

—

მეორე დღეს, საღამოხანს, მოხუცი დედა სახლში დაბრუნდა. დედაკაცს იმ ღამეს მეტად ტკბილად ეძინა.

თ. სა—კია

ქნეს. ბოქაულმა შეადგინა ოქმი და საჩქაროდ აცნობა ქუთაისის გუბერნატორს და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. იმ დღესვე, ე. ი. ორშაბათს, ქუთაისიდგან მოვიდა დირექტორი სასოფლო სკოლებისა, ლევიცკი და მეორე დღეს—მზრუნველის თანაშემწე ზავადსკი; ბევრი ურჩიეს იმათაც შეგირდებს, დაენებებინათ თავი ისეთი ურჩობისათვის, მაგრამ მაინც ვერ დაიყოლიეს; არ გვინდა, არ დავბრუნდებით, გვეყო რაც ტანჯვა და წვალება ავიტანეთო. ბევრს ელაპარაკნენ, ბევრი ურჩიჩინეს შეგირდებს ორშაბათს, სამშათს, ოთხშაბათს, ბევრს ეცადნენ მშობლებიცა, რომ ჩაეგონებინათ თავიანთი შვილებისათვის, გონს მოსულიყვნენ. მაგრამ იმათ მაინც თავისი არ დაიშალეს. ბოლოს როგორც იყო, მიიყვანეს შეგირდები სემენარიაში სასწავლებლის დირექტორთან, რომელმაც გამოუცხადა, რომ თქვენში გამოვრიცხავ ხუთ შეგირდს და დანარჩენს მივიღებთო; ამაზე შეგირდებმა უარი განაცხადეს და მაშინვე გამოვიდნენ ერთბაშად სემინარიიდგან. მეორე დღეს მზრუნველის თანაშემწემ დიდის მეცადინეობით დაიყოლია შეგირდები, წასულიყვნენ სემენარიაში იმ პირობით, რომ თქვენში არავის არ გამოვრიცხავთო და დირექტორს არავითარი საქმე არ ექმნება თქვენთან თვით მზრუნველის ჩამოსვლამდეო. ამ სახით, როგორც იყო, დღეს, 12 მარტს, გაიმართა სწავლა და არ ვიცით რა შემდეგი მოჰყვება ასეთს უსიამოვნო ამბავს.

მ. ს.

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობა

ერევნის საოლქო სასამართლოში 5 მაისს დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა კასიან დავითის ძის ეღიაზაროვის მამულისა. დაფასებულია 10,000 მანათად.

— ტფილისის საოლქო სასამართლოში მაისის 11 დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა ლაზარე ზაქარიას ძის ტერ-ეღიაზაროვის მამულისა, რომელიც იმყოფება მე-7 საპოლიციო განყოფილებაში, გიორგიევის ქუჩაზედ და დაფასებულია 1,500 მანათად.

# დეპეშა

15 მარტი

**პეტერბურგი.** Нов. Время იუწყება, რომ ინგლისელებმა, ჩინელების ნება-რთვით, დაიჭირეს ყანჯუთი, რომელიც პამირის სამხრეთ მხარეს მდებარეობს და ჩინეთს ემორჩილებოდა. ყანჯუთიდგან ინგლისს შეუძლიან ჩინეთსაც დაეხმაროს და ავღანისტანსაც, ვახანის მხრივ, იარაღის და სხვა საომარ ნივთების გაგზავნით; ყანჯუთიდგანვე შეიძლება გზავნონ ინგლისელებმა სავაჭრო საქონელი, რომლებსაც აქამომდე რუსეთის ვაჭრებნი არ ატარებდნენ.

გუშინ შესრულდა ათი წლიწადი მას აქედ, რაც ბალტიის ზღვის ნაპირას მართლ-მადიდებლობა მშიდა დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში მმობის თანხა 488,338 მანათამდე ასულა. აქედგან დახარჯულა ეკკლესიებისა, მონასტრებისა, სკოლებისა და სხვა სასულიერო დაწესებულებათა დასაარსებლად და შესანახავად 279,590 მან.; დარჩა 208,748 მან.

**მოსკოვი.** გუშინ ალექსეევი დაასაფლავეს ახალ-მაცხოვრის მონასტერში. დაესწრო დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე, მრავალი წარჩინებული კაცი, ქალაქის ხმოსნები, დეპუტაციები მოსკოვისა და სხვა ქალაქებისა, და აუარებელი ხალხი. გვირგვინები 225 იყო.

**პარიჟი.** ალჟირში ყოველ დღე დიდი ამბავია რუსეთის ზღვაოსანთა პატივსაცემლად.

**სტამბოლი.** გუშინ დედოფალი ნატალია სულთანმა სადარბაზოდ მიიღო და შემდეგ თითონაც ვიზიტი გადაუხადა. სულთანმა უბოძა დედოფალს ორდენი „შეფაკატ“.

**ბერლინი.** დოვმა, რომელმაც მოიგონა ტყვია-გაუვალი ფარი, კაპრივის გამოუცხადა, საიდუმლოს გაგიმჟღავნებ, როგორა კეთდება ეს ფარი, თუ 3 მილ. მარკას მომცემთო. იმპერიის კანცლერმა ვადა ითხოვა მოსაფიქრებლად.

**პარიჟი.** სენატმა ამოირჩია თ ვის პრეზიდენტად შალმელ ლაკური.

პეტერბურგის ბირჟა, 12 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,58 | 7,60 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები | 151 1/2 | 152 1/4 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | —,, | 1,16 | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | —,, | —,, | 240 1/2 |
| —მეორისა | —,, | —,, | 221 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | —,, | —,, | 195 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | —,, | 102 | —,, |
| 5% | 100 | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | —,, | 102 | —,, |
| 5% | 100 | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 1/4 | —,, | —,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში, სამშაბათობით: დილისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩიდან ნოვოროსსიისკით.

პარასკევობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

### ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. „ | 4 | „ |
| „ „ 2 „ „ „ | 3 1/2 | |
| „ „ 3 „ „ „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ | 5 | კ. |
| „ „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ „ 3 „ | 3 1/2 | |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | |
|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | 7 | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | 5 | „ |
| მე-3 „ „ „ „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 7 | კ. |
| სუკი — — — | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 | „ |


## განცხადებანი

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—28)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლაიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონია). უფლ-ქვემდებლი წიგნის გაგზავნით ფასს იხდიან. (36—24)

Leichner's Fettpuder

მსუქანი პუდრა ლეიხნერისა

კოლოფით 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

**ლ. ლეიხნერი, ბერლინში,**

ბელგიის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. (6—1)

**ნუ იყიდულობთ** ოლე-ვაზელინის საპონს **როიალ-კონგო**

რომელსაც გასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს გამომგონებისაგან

ე. ბოდლო და კ° საგან




ჩვენ იძულებულ ვართ თითოეულ ნაჭერს ოლე-ვაზელინის „როიალ-კონგოს“ საპონს გასაფრთხილებელი ნიშნები გაუკეთოთ, რადგან აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც აკეთებენ ჩვენის საპნის მიმსგავსებულს ეტიკეტითაც და სხვაფრივაც.

ე. ბოდლო და კ°

ადრესი: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ. (12—7)



БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ
Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.

მ ე ქ ა რ ხ ნ ე ე ბ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

**ბენდერ-სტეფანოვი**

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩრჩილებების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩრჩილები და წინსაფრები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—11)